ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №427419

ნომერი: AR190087

თარიღი : 02.11.2012

გაცემის თარიღი : 09.11.2012

გაცნობის თარიღი : 12.11.2012

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ფალიაშვილი , N 87 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ ნეფარიძე პ/ნ 01011013483
- თბილისი ბ.ხმელნიცკის ქ. N 44ა კორ. 4 ბ. 50

ორგანიზაცია:

- შპს ლაბეი დეველოპმენტი კოდი: 406048012

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ”ცალკეული ხაზობრივი ნაგებოების განთავსების, შემდგომი გამოყენების ან/და სამუშაოების წარმოების წესის განსაზღვრის შესახებ” ქ. თბილისის მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის #03.31.100 დადგენილების თანახმად „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება.

აღნიშნული დადგენილების 15. მუხლის 11. პუნქტის თანახმად ელექტროგადამცემი ხაზები იყოფა შემდეგ კატეგორიებად (იხ. დანართი):
11. ელექტროგადამცემი ხაზი (კვ):
ა) I კატეგორია – 330 კვ და მეტი;
ბ) II კატეგორია – 220 კვ;
გ) III კატეგორია – 35-110 კვ;
დ) IV კატეგორია – 1-20 კვ-მდე;
ე) V კატეგორია – 1 კვ-მდე.

აქვე გაცნობებთ, რომ I და II კატეგორიის ხაზობრივი ნაგებობის განსათავსებლად უნდა მიმართოთ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს; III კატეგორიის ხაზობრივი ნაგებობის განსათავსებლად უნდა მოგვმართოთ არქიტექტურის სამსახურს და ამ შემთხვევაში საჭირო იქნება მშენებლობის სამივე სტადიის გავლა ((,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ’’ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამ სტადიად (I სტადია - მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება; II სტადია - არქიტექტურული პროექტის შეთანხმება; III სტადია - მშენებლობის ნებართვის გაცემა). მხოლოდ წინა სტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შეუძლია ნებართვის მაძიებელს მოითხოვოს შემდგომი სტადიის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება)). ხოლო IV და V კატეგორიის ხაზობრივ ნაგებობების შეთანხმება ხდება ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ (იხ. დანართი).

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.